



პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

13.09.2017

13 აგვისტოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნინო ლომჯარია პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და კანონიერების მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე დროებითი საკონსულტაციო კომისიის ფარგლებში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრას გამართავს.

შეხვედრის მიზანია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის პროცესში იდენტიფიცირებული პრობლემატური საკითხებისა და ტენდენციების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის გაცნობა.

- **შემონირულობები**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის 1 ივლისიდან 12 სექტემბრის ჩათვლით, პარტიებს მიღებული აქვთ შემდეგი ოდენობის შემონირულობები:

N	პარტიის დასახელება	თანხა
1	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	7,343,993.00
2	„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	323,675.45
3	„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	15,600.00
4	ახალი პოლიტიკური ცენტრი - „გირჩი“	15,300.00
5	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	12,204.00
6	ეროვნული ფორუმი	9,215.00
7	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	5,432.00
8	დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო	900.00
9	საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	434.00
10	„საქართველოს მშვიდობისათვის“	200.00
11	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	40.00
		7,726,993.45

ივლის-აგვისტოს თვეებში განხორციელებული შემონირულებების შესახებ გამოთხოვილია ინფორმაცია 225 ფიზიკური და 14 იურიდიული პირის შემოსავლებზე. შემოსავლების სამსახურიდან ამ ეტაპზე მოსულია ინფორმაცია მხოლოდ 101 ფიზიკურ პირზე. იურიდიულ პირებზე გაგზავნილი წერილების საფუძველზე მიღებულია ინფორმაცია 2 კომპანიის შემოსავლების შესახებ.

აგვისტოს თვეში განხორციელებული შემომწირველების შესწავლის საფუძველზე, 101 პირიდან გამოკითხვაზე დაბარებულია 14 ფიზიკური პირი, რომელთა მიერ განხორციელებული შემონირულობების წარმომავლობის დასაბუთებულობა შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, კითხვის ნიშნებს აჩენს. დაბარების მიზანია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა მათ მიერ განხორციელებული შემონირულობების კანონიერების დასადასტურებლად. დაბარებული ფიზიკური პირებიდან 6 „ევროპული საქართველოს“ (ჯამში - 60 300 ლარის შემონირულებით), ხოლო 8 – „ქართული ოცნების“ (ჯამში - 240 000 ლარის შემონირულებით) შემომწირველია.

- **შემოსული განცხადებები**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოსულია ორი განცხადება:

- ქ. თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ალექსანდრე ელისაშვილის განცხადება ფეისბუქგვერდების საშუალებით მისი კანდიდატურის საწინააღმდეგოდ დაფინანსებული დემონსტრაციის კამპანიის წარმოების თაობაზე;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება მიკროავტობუსებზე „ქართული ოცნების“ სარეკლამო პოსტერების 2016 წლის პარლამენტის არჩევნების პერიოდიდან არსებობის შესახებ.

შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო აღნიშნული საკითხების შესწავლა. შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა დაევალა როგორც „ქართულ ოცნებას“, ასევე, შპს „თბილისის მიკროავტობუსს“.

- **ჯარიმები**

პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ნაღდი ფულის მოძრაობის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო პ/ვ „ლეიბორისტული პარტია“ და პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება - ზვიადის გზა“ 2000 - 2000 ლარით დააჯარიმა.

პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ტელ.: +995/ 32/2 438 114

www.sao.ge ელფოსტა: pr@sao.ge